ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ქ. ზუგდიდში, შპს ,,კოლხეთი ცემენტის" ცემენტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ

№	შენიშვნების და წინადადებების ავტორები	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი/რეაგირება
1	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყოფილი ენგურქაღალდკომბინატის საქალაქო დასახლების, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალაბასთუმნის, სოფ. შამგონის და სოფ. ინგირის მოსახლეობა ელ. ფოსტა: ichkhapelia@gmail.com	მოსახლეობის აბსოლიტური უბრალესობა, 95%-ზე მეტი კატეგირიული წინააღმდეგი ვართ აღნიშნულ ლოკაციაზე ქარხნის მშენებლობის. ჩვენ არ ვართ წარმოების განვითარების წინააღმდეგნი, ჩვენ მოვითხოვთ ამ საწარმოს მჭიდროდ დასახლებული ლოკაციიდან გადატანას სხვა ადგილმდებარეობაზე, ისევე, როგორც მათ ამის გაკეთებამ ერთხელ უკვე მოუწიათ, როცა თავიდან საწარმოს აშენება გადაწყვეტილი ჰქონდათ ყოფილი ფაიფურის ქარხნის ტერიტორიაზე (ქ. ზუგდიდი, დემურიას ქ. 1-ში), სადაც წააწყდნენ მომიჯნავედ მდებარე ერთ-ერთი თხილის გადამამუშვებელი საწარმოს ხელმძღვანელობისგან წინააღმდეგობას და აიბარგნენ კიდეც, რასაც თავად არ უარყოფენ არც კერძო საუბრებში და არც	**მოცემულ შენიშვნებთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:** შპს ,,კოლხეთი ცემენტის" მიერ 2019 წლის 21 ნოემბერს გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილი იყო ცემენტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება. სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიად განხილული იყო ქ. ზუგდიდში, დემურიას ქ. N1-ში, შპს ,,კოლხეთი ცემენტის" საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 43.31.42.450). 2019 წლის 12 დეკემბერს ზემოაღნიშნულ პროექტზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნების მინისტრის N2-1206 ბრძანებით გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება და ქ. ზუგდიდში, შპს ,,კოლხეთი ცემენტის" ცემენტის

		ჟურნალისტებთან გაკეთებულ კომენტარებში. თუ თხილის გადამამუშავებელი საწარმოსთვის საფრთხის შემცველი იყო მიმდინარედ ცემენტის საწარმოს აშენება, გაცილებით მჭიდროდ დასახლებულ და ახლო ტერიტორიაზე ანუ ჩვენს შემთხვევაში, როგორ შეიძლება ნაკლები საშიშროება გვემუქრებოდეს?! ,,კოლხეთი ცემენტის" ხელმძღვანელებმა სამინისტროსთან ოფიციალურად იცრუეს, როცა სამინისტროსთვის გაკეთებულ განცხადებაში საწარმოს მშენებლობის მისამართად ჯერ კიდევ ეწერათ ქ. ზუგდიდი, დემურიას ქ. 1, - მინისტრის ბრძანებაც სკრინინგზე ამ ტერიტორიაზე იყო გამოცემული, რეალურად კი უნებართვოდ საწარმოს აშენებდნენ ჯანაშიას ქ. 1-ში.	საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია **დაექვემდებარა** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. შპს ,,კოლხეთი ცემენტმა" სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით 2021 წლის 4 თებერვალს მიმართა სამინისტროს სკოპინგის განცხადებით. აღნიშნულის საფუძველზე გაცემულ იქნა სკოპინგის დასკვნა (N17; 01.04.2021). სკოპინგის ანგარიშის თანახმად, გარემოსდაცვითი ასევე, ეკონომიკური თვალსაზრისით მოხდა საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის ცვლილება და პროექტის განხორციელება დაიგეგმა არა დემურიას ქ. N1-ში, არამედ ჯანაშიას ქ. N1-ში. აღნიშნული ცვლილების დასაბუთება განხილულია სკოპინგის ანგარიშში საწარმოს განთავსების ალტერნატივების ქვეთავში. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ პროექტის ალტერნატივების ანალიზის ქვეთავში, საპროექტო ნაკვეთის ორ ალტერნატიულ ლოკაციად განხილული იქნა ასევე (I ალტერნატივა) დემურიას ქ. №1, ყოფილი ფაიფურის საწარმოს ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და (II ალტერნატივა) ჯანაშიას ქ. №1,

			ყოფილი ქაღალდის ცელულოზის საწარმოს ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. საქმიანობისათვის განკუთვნილი ტერიტორიის შერჩევა განხორციელდა სხვადასხვა კრიტერიუმის, მათ შორის გარემოსდაცვითი და ეკონომიკური მოცემულობის გათვალისწინებით და უპირატესობა მიენიჭა II ალტერნატიულ ვარიანტს (ჯანაშიას ქ. №1). გზშ-ის ანგარიშში მოცემულია შერჩეული ლოკაციის უპირატესოებები I ალტერნატივასთან (დემურიას ქ. №1) შედარებით, მათ შორის აღსანიშნავია: დაშორება მჭიდრო დასახლებული ტერიტორიიდან, ზედაპირული წყლის ობიექტებიდან, ახალი ტერიტორიის ათვისებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება, მისასვლელი გზები და ნედლეულის/პროდუქტის ტრანსპორტირებისთვის შედარებით ნაკლებად დასახლებული ტერიტორიების გამოყენების შესაძლებლობა. ამასთან, საწარმო ტერიტორიის შერჩევის მიზნით განხილული იქნა ქ. ზუგდიდში არსებული ინდუსტრიული ზონები, საიდანაც ალტერნატიული ინდუსტრიული ზონა შეირჩა ქ. ზუგდიდის ცენტრალური და მჭიდროდ

			დასახლებული უბნების მდებარეობიდან გამომდინარე. გარდა ამისა, 2021 წლის 1 აპრილის N17 სკოპინგის დასკვნით შპს ,,კოლხეთი ცემენტს" დაევალა საწარმოო ტერიტორიის სიახლოვეს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების არსებობის გათვალისწინებით, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი ყოფილიყო საწარმოს ფუნქციონირების შედეგად სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე და იქ წარმოებული პროდუქციის ხარისხზე ზემოქმედების საკითხი. აღნიშნული ინფორმაცია განხილულია გზშ-ის ანგარიშში. დამატებით გაცნობებთ, რომ შპს ,,კოლხეთი ცემენტისა" და თხილის გადამამუშვებელი საწარმოს ხელმძღვანელობას შორის შესაძლო წინააღმდეგობრივი პოზიციების განხილვა ცილდება სამინისტროს კომპეტენციას.
2	• ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყოფილი ენგურქაღალდკომბინატის საქალაქო დასახლების, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალაბასთუმნის, სოფ. შამგონის და სოფ. ინგირის	• გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია ,,მწვანე ალტერნატივას" შეტანილი აქვს სარჩელი სასამართლოში სამინისტროს წინააღმდეგ დამრღვევი საწარმოსთვის	**მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:** პროექტმა გაიარა სკოპინგის ეტაპი და შესაბამისი ბრძანების საფუძველზე გაიცა სკოპინგის დასკვნა. აღნიშნული დასკვნა ამ ეტაპზე გასაჩივრებულია

	მოსახლეობა ელ. ფოსტა: ichkhapelia@gmail.com ▪ ა(ა)იპ - სამოქალაქო მოძრაობა - სამეგრელოს ხმა ელ. ფოსტა: samegreloskhma@gmail.com	ადმინისტრაციული წარმოების არაკანონიერად განხორციელების თაობაზე და რატომ არ უნდა დაველოდოთ სასამართლოს გადაწყვეტილებას ? ● საზოგადოებრივი აზრის გარდა, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ პროექტთან და მისი განხილვის პროცედურების კანონიერებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს სამართალწარმოება.	თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ არ არის მიღებული. შესაბამისად საქმიანობის განმახორციელებელმა, კანონმდებლობის დადგენილ ვადაში, სამინისტროში გზშ-ის ანგარიში წარმოადგინა გაცემული სკოპინგის დასკვნის შესაბამისად, რომელიც ძალაშია და სასამართლოს მიერ არ არის ბათილად ცნობილი. შეგახსენებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.
3	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყოფილი ენგურქაღალდკომბინატის საქალაქო დასახლების, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალაბასთუმნის, სოფ. შამგონის და სოფ. ინგირის მოსახლეობა ელ. ფოსტა: ichkhapelia@gmail.com	მივმართავთ სამინისტროს მოთხოვნით, - საფუძვლიანად და ობიექტურად გამოიკვლიოს რამდენად ვალიდურია გზშ-ის დოკუმენტზე ელექტრონულად დართული მოსახლეობის დადებითი განწყობის ამსახველი ხელმოწერები, არიან თუ არა ხელმომწერები	**მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:** გაცნობებთ, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საზოგადოებას უფლება აქვს, განცხადების განთავსებიდან 40 დღის ვადაში

		უშუალოდ საწარმოსთან ახლომდებარე ტერიტორიის მაცხოვრებლები?	სამინისტროს წარუდგინოს მოსაზრებები და შენიშვნები გზშ-ის ანგარიშთან, დაგეგმილ საქმიანობასთან და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გასათვალისწინებელ პირობებთან დაკავშირებით. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისას ან საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემისას უზრუნველყოფს წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების განხილვას და, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მხედველობაში იღებს მათ. დამატებით გაცნობებთ, რომ სამინისტრო იღებს ყველა დაინტერესებული მხარის კომენტარსა და მოსაზრებას, განიხილავს როგორც პროექტის მომხრეების, ისე მოწინააღმდეგეების შენიშვნებსა და მოსაზრებებს და სათანადო არგუმენტების არსებობის შემთხვევაში ითვალისწინებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რაც შეეხება ხელმოწერების ვალიდურობის საკითხს, კერძოდ წარმოდგენილი ხელმოწერები ეკუთვნის თუ არა უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ

			მცხოვრებ მოსახლეობას, გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა არ შედის სამინისტროს კომპეტენციაში.
4	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყოფილი ენგურქაღალდკომბინატის საქალაქო დასახლების, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალაბასთუმნის, სოფ. შამგონის და სოფ. ინგირის მოსახლეობა ელ. ფოსტა: ichkhapelia@gmail.com	არაერთგზის წარედგინა სამინისტროს წერილობითი თუ ვიდეომასალა იმის თაობაზე, თუ რამდენად ახლოს მდებარეობს ქარხანა უშუალოდ საცხოვრებელ სახლებთან, ეზოებთან და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან. ჩვენ განსაკუთრებულ გულისწყრომას იწვევს ის გარემოება, რომ მინისტრისადმი წერილშიც და სხვადასხვა ანგარიშებშიც უპასუხისმგებლოდ და აშკარა სიცრუით აყალბებენ მთავარ მოცემულობას და რეალობას და წერენ, რომ ,,საწარმო შენდება მოსახლეობისგან მოშორებით"-ო მაშინ, როცა ცემენტის ქარხნიდან მოსახლეობის ეზოებამდე და სასოფლო-დანიშნულების ნაკვეთებამდე მხოლოდ 10 (ათი) მეტრიანი დაშორებაა. პირვანდელ ანგარიშებში და წერილებში თავდაპირველად ეწერათ დაშორება 180 მეტრი, მერე თავად შეცვალეს და დაიყვანეს 145	**მოცემულ შენიშვნებთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:** სამინისტროში წარმოდგენილი სკოპინგის დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის საზღვრიდან დაახლოებით 180 მ-ში, მდებარეობს სოფ. ახალაბასთუმნის უახლოესი საცხოვრებელი სახლი. აღნიშნული ინფორმაცია სკოპინგის ეტაპზევე გადამოწმდა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ სხვადასხვა ელექტრონული პროგრამის (ArcGIS, Google earth, http://maps.napr.gov.ge/) საშუალებით. ელექტრონული გადამოწმების შესაბამისად საპროექტო ნაკვეთის საზღვრიდან 145 მ-ში დაფიქსირდება შენობა-ნაგებობა, რომლის ფუნქციური დატვირტთვის შესახებ ინფორმაციის დაზუსტება სამინისტრომ მოითხოვა შესაბამისი სკოპინგის დასკვნით. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეტაპზე შპს ,,კოლხეთი ცემენტმა" უზრუნველყო სამინისტროს მიერ მოთხოვილი ინფორმაციის დაზუსტება. კერძოდ გზშ-ის ანგარიშის მიხედვით,

		მეტრამდე. რეალურად, ეს შესწორებული და შემცირებული 145 მეტრიც კი ტყუილია, - 145 მეტრში გულისხმობენ პირველი მოსახლის ეზოში შესასვლელ ჭიშკრამდე მანძილს, მაგრამ ამ ეზომე და სხვა ეზოებამდე რეალური დაშორება მხოლოდ 10 მეტრია და რა მნიშვნელობა აქვს, რომელი მოსახლე ჭიშკარს როდის რომელი მხრიდან გააკეთებს თუ ისურვებს. თუმცა იმ ჭიშკრამდეც არა 145, არამედ 100 მეტრამდეა და ეს ყველაფერი შეუძლია სამინისტროს წარმომადგენლებმა ადგილზევე თავად შეამოწმონ და ამ წერილსაც დავურთავთ კონკრეტულად დაშორების რეალურად ამსახველ ფოტო თუ ვიდეომასალას.	საწარმოს ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 145 მ-ში, მდებარეობს სოფ. ახალაბასთუმნის უახლოესი საცხოვრებელი სახლი, ხოლო საწარმოს გამფრქვევი მილის განთავსების წერტილიდან დაახლოებით 190 მ-ში. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში ზემოქმედების შეფასება, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის გავრცელების კუთხით, გაკეთებულია უახლოეს დასახლებულ პუნქტთან/საცხოვრებელ შენობა-ნაგებობამდე, რომელიც 145 მ-ში მდებარეობს. გაცნობებთ, რომ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილების მე-10 მუხლის თანახმად, ზდგ-ის ნორმები დგინდება საწარმოდან დაშორებულ **უახლოეს დასახლებული პუნქტებთან**, ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებთან, სკოლებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, სპორტულ კომპლექსებთან, პარკებთან, საერთო სარგებლობის სამკურნალო-პროფილაქტიკურ და გამაჯანსაღებელ

			დაწესებულებებთან, კვების მრეწველობის ობიექტებთან, აეროპორტებთან, აეროდრომებთან და რკინიგზის სადგურებთან მიმართებაში, მაგრამ არაუმეტეს საწარმოდან 500 მეტრის რადიუსის მანძილზე დაშორებისა. გზშ-ის ანგარიშისა და თან დართული მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის თანახმად, რომელშიც გათვალისწინებული იქნა ფონური მახასიათებლები ქ. ზუგდიდის მოსახლეობის რიცხოვნობის საფუძველზე, მავნე ნივთიერების კონცენტრაცია არ აჭარბებს მოქმედი საკანონმდებლო ნორმებით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებელებს უახლოეს მოსახლესთან (145 მ) და არც ობიექტიდან 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე. საწარმოდან მოსალოდნელი ხმაურის დონეების, კანონმდებლობით განსაზღვრული, ნორმის ფარგლებში მოქცევის მიზნით გამოყენებულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №398 – „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების

			შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ხმაურის გაანგარიშების შედეგად უახლოეს სახლთან. ხმაურის დონემ უარესი სცენარის მიხედვით შეადგინა - 39.4 დბ, რაც ნიშნავს, რომ აღნიშნული სცენარითაც ხმაურის დონე უახლოეს მოსახლესთან არ აჭარბებს 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით განსაზრვრულ ნორმებს (დღე - 50 დბა, საღამო-45 დბა, ღამე - 40 დბა). გარდა ზემოაღნიშნულისა, მოსალოდნელი ზემოქმედების მაქსიმალური შერბილების, მართვის, მონიტორინგის და პრევენციის მიზნით სამინისტრომ შესაბამის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებაში კომპანიას განუსაზღვრა სათანადო პირობები: ➢ შპს ,,კოლხეთი ცემენტმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სამინისტროსთან

			შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე, აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება (პირობა N5); ➢ შპს ,,კოლხეთი ცემენტმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (გაფრქვევის წყაროებზე მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევის ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), დამატებით გათვალისწინებული იქნება ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები

			საწარმოს ტერიტორიაზე და უახლოეს მოსახლესთან (მონიტორინგის წერტილების კოორდინატებისა და სიხშირის მითითებით) (პირობა N7); ➢ შპს ,,კოლხეთი ცემენტმა“ მტვრის გავრცელების პრევენციის მიზნით, ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს, ცხელ და მშრალ ამინდებში საწარმოსთან მისასვლელი გზების მორწყვის გეგმა-გრაფიკის სამინისტროსთან შესათანხმებლად წარმოდგენა. საქმიანობა განახორციელოს შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად (პირობა N8); ➢ შპს ,,კოლხეთი ცემენტმა“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების კონკრეტული გეგმის სამინისტროსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც, დამატებით გათვალისწინებული იქნება გზების მორწყვის საკითხები, ავტოცემენტმზიდების საწარმოს ტერიტორიის დატოვებამდე საბურავების მტვრისგან გათავისუფლების, ასევე,

			არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებები (პირობა N9); ➢ შპს ,,კოლხეთი ცემენტმა“ გარემოსდაცვითი მონიტორინგის შედეგების სამინისტროში წარმოდგენა უზრუნველყოს წელიწადში ერთხელ (პირობა N10); ➢ შპს ,,კოლხეთი ცემენტმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ხმაურზე მონიტორინგის განხორციელება ინსტრუმენტული მეთოდით. მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით უზრუნველყოს დამატებითი შეთანხმება და განხორციელება (პირობა N11).
5	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყოფილი ენგურქაღალდკომბინატის საქალაქო დასახლების, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალაბასთუმნის, სოფ. შამგონის და სოფ. ინგირის მოსახლეობა ელ. ფოსტა: ichkhapelia@gmail.com	მომიჯნავე ტერიტორიას მოიხსენიებენ ,,გაპარტახებული და მიტოვებულ ცელულოზა კომბინატის ტერიტორიად”. მინისტრისთვის გაგზავნილ წერილშიც კი საქვეყნოდ ცნობილი საწარმოს სახელსაც კი სწორად ვერ წერენ, ისევე, როგორც სხვადასხვა ანგარიშებში აბსოლუტურად არასამართლიანად და შეუსაბამოდ ,,პერიფერიად”	**მოცემულ შენიშვნებთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:** გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოს ტერიტორია განთავსებულია ყოფილი ქაღალდის ცელულოზის ინდუსტრიულ ზონაში, სადაც ძველი საწარმოო შენობებიდან დარჩენილია მხოლოდ მათი კარკასები და ნანგრევები, ხოლო ცემენტის საწარმოსთვის განკუთვნილ

		მოიხსენიებენ ჩვენს საცხოვრებელ ტერიტორიას, ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ და აქტიური საქმიანობებით დატვირთულ ნაწილს. ყველა ზუგდიდელისთვის ეს წარსულში ცნობილი საწარმო არის არა ,,ცელულოზა კომბინატი", არამედ ენგურქაღალდკომბინატი და იმ კომბინატის ტერიტორია არცერთ პერიოდში არავის მიუტოვებია და გაპარტახებული კი არა, სიცოცხლით სავსეა შემდეგი დაწესებულებებით და ობიექტებით: აკადემიკოს შოთა მესხიას სახელობის ჩვენს მხარეში ერთადერთი სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ათასზე მეტი სტუდენტით და პროფესორ-მასწავლებლებით, საშუალო სკოლები, ბაგა-ბაღები, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა სფეროს დაწესებულებები, ცემენტის საწარმოს უშუალოდ მომიჯნავედ ახლახანს გაიხსნა რეგიონში უდიდესი სავაჭრო ცენტრი, იხსნება სხვა ახალი კომერციული ობიექტები და სხვადასხვა სახის დაწესებულებები.	ტერიტორია და მისი მომიჯნავე ტერიტორიები აუთვისებელია. სკოპინგის ანგარიშში, ისევე როგორც საჯარო განხილვის დროს ცემენტის საწარმოს ლოკაციის აღწერისთვის გამოყენებული იყო სიტყვა ,,პერიფერია", რომელიც დაინტერესებული საზოგადოების მხრიდან მწვავე კრიტიკის საგნად იქცა და აღინიშნა, რომ საწარმოს მდებარეობა (ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქუჩა) წარმოადგენს არა პერიფერიას, არამედ ქ. ზუგდიდის ერთ-ერთ მჭიდრო დასახლებულ ტერიტორიას. გამომდინარე აქედან სკოპინგის დასკვნით სამინისტრომ მოსთხოვა კომპანიას ზემოაღნიშნული გარემოება (საწარმოსთვის შერჩეული ლოკაციის აღწერისა და შეფასების ნაწილში) გზშ-ის ეტაპისთვის სათანადოდ დასაბუთებინა. აღნიშნულიდან გამომდინარე გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნა საწარმოს ტერიტორიის აღწერა და მისი ,,პერიფერიად" მოხსენიების განმარტება. გზშ-ის ავტორები თვლიან, რომ საწარმოს განთავსების ტერიტორიის აღწერის ნაწილში რაიმე უზუსტობას ადგილი არ ჰქონია.

			გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დოკუმენტაციის მომზადების ეტაპზე მოხდა საწარმოო და მისი მიმდებარე ტერიტორიის ანალიზი, რის შედეგადაც დადგინდა, რომ საწარმო უშუალოდ ესაზღვრება სოფ. ახალაბასთუმანს. ჩატარდა კვლევის მიხედვით, საწარმოს განთავსების ტერიტორია და განთავსების უბანი ასევე წარმოადგენს ყველაზე ნაკლებად დასახლებულს და ყველაზე დიდი ფართობის მქონეს ქ. ზუგდიდში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გზშ-ის ანგარიშში სიტყვა ,,პერიფერია" მოხსენიებულია მხოლოდ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის აღნიშვნის მიზნით.
6	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყოფილი ენგურქაღალდკომბინატის საქალაქო დასახლების, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალაბასთუმნის, სოფ. შამგონის და სოფ. ინგირის მოსახლეობა ელ. ფოსტა: ichkhapelia@gmail.com	სულაც რომ ბევრ ადამიანს ასაქმებდნენ, რეალურად (და არა ზოგადი შეპირებებით) საწარმოში, შეუდარებელია ჩვენთვის მოსალოდნელი ჯანმრთელობის და საცხოვრებელი გარემოს ზიანი ნებისმიერ სხვა მათ მიერ ხსენებულ ფსევდო სარგებელთან. ყველა ანგარიშსა თუ სხვადასხვა შეხვედრებზე საუბრობენ მხოლოდ 15-20 ადამიანის დასაქმებაზე მენეჯმენტის წარმომადგენლების ჩათვლით და გზშ-ში ასახელებენ 50 ადამიანის დასაქმებას.	**მოცემულ შენიშვნებთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:** გზშ-ის ანგარიშის მიხედვით - სოციალურ გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება, ძირითადად უკავშირდება ცემენტის წარმოებიდან მტვრის და ხმაურის გავრცელებას. როგორც გზშ-ის ანგარიშში და თანდართულ დოკუმენტაციაშია მოცემული გაანგარიშებებით დგინდება, რომ არც ატმოსფერულ ჰაერზე არც ხმაურის ზემოქმედების

			კუთხით კანონმდებლობით დადგენილი ნომრების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის. გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად საწარმოს მიერ შეძენილი თანამედროვე ტექნოლოგიის, დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების და განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე, მათ შორის სოციალურ გარემოზე არ იქნება მნიშვნელოვანი. გზშ-ის პროცედურის შედეგად დადგინდა, რომ გზშ-ის ანგარიშში და თანდართულ დოკუმენტაციაში სათანადოდ არის შესწავლილი მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხები. პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების ეფექტური მართვა და შერბილება შესაძლებელია გზშ-ის ანგარიშით დაგეგმილი ღონისძიებების და ტექნიკური გადაწყვეტების, ამასთან სამინისტროს მიერ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაში განსაზღვრული პირობების საშუალებით (იხ. გვ 10, შენიშვნა N4-ის პასუხი/რეაგირება) .

			გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში დასაქმდება 50 ადამიანი, საიდანაც 80% იქნება ადგილობრივი.
7	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყოფილი ენგურქაღალდკომბინატის საქალაქო დასახლების, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალაბასთუმნის, სოფ. შამგონის და სოფ. ინგირის მოსახლეობა ელ. ფოსტა: ichkhapelia@gmail.com	წერილში აღნიშნავენ, ,,ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების რისკის შემცირების მიზნით, კომპანიას შეძენილი აქვს ძვირადღირებული საერთაშორისო სტანდარტების დანადგარები”-ო, მაშინ, როცა მოსახლეობამ თავად ვნახეთ და გადაღებული გვაქვს ფოტოებიც, რომ საწარმო აღჭურვილია მეორადი ჩინური წარმოების მოწყობილობა-დანადგარებით.	**მოცემულ შენიშვნებთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:** გზშ-ის ანგარიშის თანახმად, კომპანიას გააჩნია ახალი საწარმოო ტექნიკა, რაც უზრუნველყოფს საწარმოო პროცესის მაღალეფექტურობას, სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, შერჩეული ტექნოლოგია სრულად აკმაყოფილებს ISO და ცემენტის წარმოების ევროპულ სტანდარტებს. **გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს შპს ,,კოლხეთი ცემენტსა” და სპს ,,აისო კონსალტინგ გრუპს” შორის გაფორმებული ISO სტანდარტიზაციის შესახებ ხელშეკრულება.** გარდა ამისა, 2021 წლის 1 აპრილის N17 სკოპინგის დასკვნით შპს ,,კოლხეთი ცემენტს” დაევალა ჰაერგამწოვი, ჰაერგამწმენდი, აირმტვერდამჭერი სისტემის შესახებ (საპასპორტო მონაცემები; ეფექტურობის დამადასტურებელი დეტალური მონაცემები) დეტალური ინფორმაციის წარმოდგენა, რაც გათვალისწინებული და მოცემულია გზშ-ის ანგარიშში.

8	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყოფილი ენგურქაღალდკომბინატის საქალაქო დასახლების, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალაბასთუმნის, სოფ. შამგონის და სოფ. ინგირის მოსახლეობა ელ. ფოსტა: ichkhapelia@gmail.com	,,ასევე კომპანიამ უკვე განახორციელა რეკრეაციული ფუნქციოების მქონე გამწვანების ზონის გაშენება და საწარმოო ტერიტორიაზე დარგო 200-ზე მეტი სხვადასხვა ჯიშის ხე". რეალურად საწარმოს ტერიტორიაზე დარგეს 15 ძირი სხვადასხვა ნარგავი და მათგან უმეტესობა უკვე გამხმარია. ხოლო თავად საწარმოს მთელ ტერიტორიაზე მოდებულია სარეველა და ეკალ-ბარდები, - მართლა გასაკვირი და აღმაშფოთებელია, რომ მათივე ტერიტორიის მოწესრიგება-დასუფთავებასაც კი არ აქცევენ ყურადღებას.	**მოცემულ შენიშვნებთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:** გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე ჰაერში გაფრქვეული ნაწილაკების გათვალისწინებით, სპეციალურად შერჩეული მცენარეებისაგან მოეწყო მწვანე ზოლი. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოო ტერიტორიაზე ჩატარებულია გამწვანებითი სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც დაირგო 250 ერთეულამდე სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარეები. დოკუმენტაციაში მოცემულია დარგული ხე-მცენარეების დამადასტურებელი ფოტომასალა, ამასთან 2021 წლის 31 აგვისტოს სამნისტროს წარმომადგენლების მიერ მოხდა საწარმოო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება და დადასტურდა ტერიტორიაზე გამწვანებითი სამუშაოების განხორციელების ფაქტი, თუმცა არ მომხდარა ნარგავების რაოდენობრივი აღრიცხვა. ამასთან, კომპანიას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობით (13) განესაზღვრა ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილი გამწვანების

			ზოლის მოვლა-პატრონობა. ამასთან, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში, წელიწადში ერთხელ, სამინისტროში წარმოადგინოს საწარმოს ტერიტორიაზე ჩატარებული გამწვანებითი ღონისძიებების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, შესაბამის ფოტომასალასთან ერთად.
9	● ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყოფილი ენგურქაღალდკომბინატის საქალაქო დასახლების, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალაბასთუმნის, სოფ. შამგონის და სოფ. ინგირის მოსახლეობა ელ. ფოსტა: ichkhapelia@gmail.com ▪ ა(ა)იპ - სამოქალაქო მოძრაობა - სამეგრელოს ხმა ელ. ფოსტა: samegreloskhma@gmail.com	● ჩვენს საცხოვრებელ ტერიტორიაზე მოსალოდნელი კონკრეტული საფრთხეების და ზიანის გათვალისწინებით - კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. #1-ში ცემენტის ქარხნის ფუნქციონირების. შესაბამისად, მოვითხოვთ მოსახლეობის ინტერესების ამსახველი გადაწყვეტილების მიღებას, რომ უარი ეთქვას შპს ,,კოლხეთი ცემენტის" მიერ ცემენტის წარმოების აღნიშნულ ადგილმდებარეობაზე განხორციელებას. ▪ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით მიმდინარე წლის 31 აგვისტოს გამართული - ქ. ზუგდიდში შპს	**მოცემულ შენიშვნებთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:** გზშ-ის ანგარიშში დეტალურადაა წარმოდგენილი პროექტის განხორციელებით გარემოზე, მათ შორის ადამიანის ჯანმთელობაზე, მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და განსაზღვრულია ზემოქმედების მართვის ღონისძიებები. ვინაიდან, გზშ-ის პროცედურის შედეგად დადგინდა, რომ გზშ-ის ანგარიშში და თანდართულ დოკუმენტაციაში სათანადოდ არის შესწავლილი მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხები, ხოლო პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების ეფექტური მართვა და შერბილება შესაძლებელია დაგეგმილი ღონისძიებების და ტექნიკური გადაწყვეტების საშუალებით, შპს ,,კოლხეთი ცემენტის" ცემენტის წარმოებაზე სამინისტრომ მიიღო შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

		,,კოლხეთი ცემენტის" ცემენტის წარმოების პროექტის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის, ასევე ჩვენი ორგანიზაციის ფასილიტაციით საწარმოს ხელმძღვანელობასა და მოსახლეობის წარმომადგენლებს შორის 10 სექტემბერს ჩატარებული შეხვედრის მიუხედავად, ვერ ხერხდება მოსახლეობისა და მათი წარმომადგენელი საინიციატივო ჯგუფის წევრების დარწმუნება პროექტის უვნებლობასა და სამართალთან შესაბამისობაში, რის გამოხატულებასაც წარმოადგენს თანდართული წერილი, რომელიც მათგან მივიღეთ და კვლავ იგივე მოთხოვნაა გაჟღერებული. ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალაბასთუმნის, ენგურქაღალდკომბინატის და ინგირის მოსახლეობა კატეგორიული წინააღმდეგია ქალაქ ზუგდიდის და სოფელ ახალაბასთუმნის ადმინისტრაციული ტერიტორიების კვეთაზე კომპანია ,,კოლხეთი ცემენტი"-ს მიერ დამონტაჟებული ცემენტის ნედლეული გადასამუშავებელი ქარხნის ფუნქციონირებაზე,	გაცნობებთ, რომ შესაბამისი არგუმენტებისა და საფუძვლის არარსებობიდან გამომდინარე, ა(ა)იპ ,,სამეგრელოს ხმის" მიერ წარმოდგენილი შენიშვნები/მოსაზრებები არ იქნა გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დამატებით, გაცნობებთ, რომ ,, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსისი" მე-14 მუხლის პირველი ნაწლის თანახმად, მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, თუ: ა) საქმიანობის განხორციელება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან სასამართლოს/არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას; ბ) გზშ-ის ანგარიშით ან/და ექსპერტიზის დასკვნით დგინდება გარემოზე ზემოქმედების ხასიათის და მოცულობის მიუღებლობა, გარემოზე ზემოქმედების რისკის პრევენციის შეუძლებლობა ან/და გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შეუძლებლობა.

		რომელი ქარხნის ფუნქციონირება აღნიშნულ ტერიტორიაზე უდიდესი ზიანის მომტანია ქალაქ ზუგდიდის და სოფელ ახალაბასთუმნის მოსახლეობისთვის. ასევე, ქალაქ ზუგდიდის სხვა დასახლებული უბნებისთვის და მიმდებარე სოფლებისთვის. ჩვენ, როგორც სოფელ ახალაბასთუმნის, ენგურქაღალდკომბინატის და ინგირის მოსახლეობის წარმომადგენლობითი საინიციატივო ჯგუფი ოფიციალურად ვახმოვანებთ ჩვენი სოფლის მოსახლეობის სრულ და კატეგორიულ უარს აღნიშნულ ტერიტორიაზე ცემენტის ქარხნის ფუნქციონირებაზე. საინიციატივო ჯგუფის მიერ სოფელ ახალაბასთუმნის, ენგურქაღალდკომბინატის და ინგირის სახელით დაფიქსირებული ოფიციალური პასუხით სრული და კატეგორიული უარი ეთქვას ცემენტის ქარხნის ფუნქციონირებას აღნიშნულ ტერიტორიაზე.	ვინაიდან არ არსებობდა კანონით დადგენილი საფუძველი საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, ასევე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სამინისტრომ განიხილა წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიში შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ საქმიანობის განხორციელება მოცემულ ტერიტორიაზე მოცემული პირობებით შესაძლებელია. აღნიშნულის გათვალისწინებით, გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული პირობების შესაბამისად.

შენიშვნა: წარმოდგენილ შენიშვნებთან/მოსაზრებებთან დაკავშირებით შესაბამისი განმარტებების ცხრილი არ მოიცავს ქ. ზუგდიდის ყოფილი ენგურქაღალდკომბინატის საქალაქო დასახლების და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალაბასთუმნის, შამგონის და ინგირის მოსახლეობის კოლექტიური განცხადების/შენიშვნების ნაწილს, რომელიც ეხება გზშ-ის ანგარიშზე თანდართული - ქ. ზუგდიდის მოსახლეთა გარკვეული ჯგუფის მიერ დაფიქსირებული დადებითი დამოკიდებულებების გამო კრიტიკას, ვინაიდან აღნიშნული სცდება სამინისტროს კომპეტენციისს ფარგლებს.